მოგესალმებით მეგობრებო,

გაცნობებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია აცხადებს სტატიების მიღებას ორენოვანი (ქართული და ინგლისური) საერთაშორისო სამეცნიერო კრებულის „ამერიკის შესწავლის საკითხები“ მე-9 გამოცემისთვის, რომელიც პროფესორების ვასილ კაჭარავას და თემურ კობახიძის ხსოვნას ეძღვნება.

ნაშრომის გამოქვეყნებისა და წყაროების დამოწმების წესი

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ სტატია ელექტრონული და ამობეჭდილი სახით ამერიკისმცოდნეობის ნებისმიერ საკითხზე. განსაკუთრებით მივესალმებით ამერიკულ-ქართული ურთიერთობის თემატიკაზე შექმნილ სტატიებს.

სტატიას დაერთვის ავტორის საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა).

სტატიის ტექსტი:

ფორმატი - A4; მინდორი ოთხივე მხარეს - 2,5 სმ; შრიფტი - Sylfaen, ინგლისურად - Times New Roman; ზომა -12; ინტერვალი - 1,5; გვერდების რაოდენობა - 8-10 (ლიტერატურის ნუსხისა და ანოტაციის ჩათვლით).

ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - 250-300 სიტყვა

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენაზე.

P.S. ავტორის მონაცემები: სამეცნიერო ხარისხი, სამუშაო ადგილი და დაკავებული თანამდებობა იწერება სრულად, ზედა მარჯვენა კუთხეში, სახელისა და გვარის ქვემოთ,

დამოწმების / ციტირების სტილი: შიდატექსტური დამოწმება (ჩიკაგოს სტილი).

ნაბეჭდი სამეცნიერო ლიტერატურის (მონოგრაფიები, წიგნები, სტატიები) შიდატექსტური დამოწმება სრულდება შემდეგნაირად: ფრჩხილებში ჩაიწერება ავტორის გვარი, პუბლიკაციის წელი, ორწერტილი და გვერდის ნომერი. მაგ.,

Ellis Joseph J. (1998), American Sphinx: The Character of Thomas Jefferson, Vintage Books, New York, 440 pages ტექსტში დამოწმებული იქნება შემდეგნაირად: (Ellis 1998:23).

ქართულენოვანი წიგნის მითითების შემთხვევაში, დამოწმების წესი იგივეა.
თუ წიგნს ორი ავტორი ჰყავს, გამოიყენეთ შემდეგი წესი: პირველი ავტორის გვარი და მეორე ავტორის გვარი. გამოცემის თარიღი, მაგალითად: (Johns, Stevenson 2005: 52).
თუ წიგნს სამი, ოთხი ან მეტი ავტორი ჰყავს: მაგ., (Rogers და სხვები 1945:23-25);

კრებულის, სტატიის, ინტერნეტრესურსის დამოწმებისას, რომელშიც ავტორი არ არის მითითებული, გამოიყენეთ შემოკლებული სათაური, რომელიც უნდა შეიცავდეს სრული სათაურის ოთხამდე ამოსაცნობ სიტყვას, წელი და გვერდი;
ინტერნეტ რესურსები და წყაროების დამოწმება: წყაროს ავტორის სახელი, გვარი [ასეთის არსებობის შემთხვევაში], წყაროს დასახელება ან ინტერნეტ პუბლიკაციის სათაური, ვებგვერდის ლინკი, გამოქვეყნებისა და მოძიების თარიღი.

წიგნის, კრებულის ან ჟურნალის სტატიის მითითებისას, რომელშიც ავტორი არ არის მითითებული, ბიბლიოგრაფიაში ავტორის ნაცვლად სათაური მიუთითეთ. ტექსტობრივ მითითებებში კი გამოიყენეთ შემოკლებული სათაური, რომელიც უნდა შეიცავდეს სრული სათაურის ოთხამდე ამოსაცნობ სიტყვას; სათაური აკრიფეთ დახრილი შრიფტით, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის ანალოგიურად.

გამოყენებული მასალების ნუსხაში წყაროების მითითების წესი:
წყაროები ლაგდება ანბანური თანმიმდევრობით, ჯერ ქართული, შემდეგ კი უცხოენოვანი.
სიაში მიუთითეთ: ჯერ ავტორის გვარი, შემდეგ სახელი, გამოცემის წელი; წყაროს სათაური (დახრილი შრიფტით), გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გვერდების საერთო რაოდენობა (კრებულში სტატიის შემთხვევაში - სტატიის გვერდები)
ელექტრონული მასალების შემთხვევაში, მიუთითეთ სტანდარტული მონაცემები პუბლიკაციის - წიგნის თუ სტატიის - შესახებ და ბოლოს დაამატეთ URL მისამართი და თარიღი, როდესაც მასალას გაეცანით.

სტატია, რომელიც ზემოთ მითითებული მოთხოვნების შესაბამისად არ იქნება შესრულებული, არ განიხილება.

მიღებული სტატიის გასწორებული ვერსია, ან დაწუნებული ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ამასთან, სარედაქციო კოლეგიისგან არ შეიძლება მოთხოვნილ იქნას გამოქვეყნებაზე უარის მიზეზის დასაბუთება.

ელექტრონულად სტატიების წარდგენა შესაძლებელია მისამართზე: amstud.journal@tsu.ge
ამობეჭდილი ვერსია შეგიძლიათ ჩააბაროთ ან გამოგზავნოთ ფოსტით მისამართზე: თბილისი 0114, ი.ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ, მე-2 კორპუსი, ოთახი 152, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი.
დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვწერეთ ან დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტა: amstud.journal@tsu.ge ge
ტელეფონი: 555 95 71 26 (სამუშაო საათებში)

სტატიების მიღების განახლებული ბოლო ვადაა: 2024 წლის 14 იანვარიmsamstud.journal@tsu.gurnal@tsu.ge